

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აკაკი იმნაიშვილის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი შუხუთი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 27.10.2015 წელი 12.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი, დეპუტატი ვეგენი ჩიჩუა, გამგებლის წარმომადგენელი სოფელ შუხუთში დავით ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის მიუროს უფროსი გოგი გეგიაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის სამდივნოს სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი შეხვდა სოფელ შუხუთის ადგილობრივ მოსახლეობას. მან განმარტა, რომ ის არის ორი კომისიის „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ და „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის“ წევრი და ფრაქცია „მრეწველების“ წევრი.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ის ემყოფილია „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ მუშაობით. პრობლემები ბევრია, მაგრამ ნელ-ნელა გვარდება. ეტაპობრივად იგება გზები, კეთდება სანიაღვრე არხები, ქუჩის განათება, სასმელი წყლის მოსახლეობამდე მიყვანა, ასევე იგეგმება შუხუთის ცენტრის მოწესრიგება.

აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ დიდი საქმე გაკეთდა ელექტრომომარაგების მხრივ. კერძოდ, აცანა, მამათი, შუხუთი ერთ ხაზზე იყო და ახლა ეს ხაზები ცალ-ცალკეა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გამგებელს. დეპუტატს დიდ შეცდომად მიაჩნია გაზის პროექტის შეჩერება, მაგრამ იმედოვნებს, რომ ხელისუფლების დაწაპირები შესრულდება და შუხუთის გაზიფიცირება 2016 წელში დასრულდება. ასევე 2016 წელში დასრულდება ქუჩების განათების მოწყობაც.

აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მომავალ თაობაზე ზრუნვა, რომელიც იწყება ბაღიდან და სკოლიდან. ამიტომ ის თითქმის ყოველ სახდომაზე აყენებს ბაღისა და სკოლის საკითხს და შედეგად მიაღწია იმას, რომ მალე დაიწყება სარემონტო სამუშაოები

დეპუტატი თვლის, რომ ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა საფეხბურთო კლუბ „გურიას“ საკითხი. მართალია „გურიაზე“ მიდის თანხების დიდი ნაწილი

ბიუჯეტიდან, მაგრამ მისი აზრით ახლა უკან დახვევა აღარ ღირს, თორემ წყალში ჩაიყრება წინა წლებში გაწეული ხარჯები. ის იმედოვნებს, რომ ახლადარჩეული ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობა გამოაჩვენებს გზებს „გურას“ დასახმარებლად.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა დარეჯან ორაგველიძემ აღნიშნა, რომ მისი ეზოს უკან ჩამოდის დელე, რომელიც წვიმის დროს დიდდება და წართვა ეზოს დიდი ნაწილი. მან ხელისუფლებისგან მოითხოვა ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. აგრეთვე ის შეწუხებულია იმით, რომ ამ დელეში მოსახლეობა ყრის ნაგავს და ჩაშვებული აქვთ კანალიზაციის მილები.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა გრიშა ჯაფარიძემ რუსთაველის ქუჩის მაცხოვრებლების სახელით ხელისუფლებისაგან მოითხოვა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ მიესალმება სხვა ქუჩების კეთილმოწყობას, მაგრამ რა დააშავა რუსთაველის ქუჩამ? არც განათება, არც სანიაღვრე არხები, არც სასმელი წყალი და ა.შ.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ნანი ბზეკალავამ ითხოვა დახმარება დენის მრიცხველზე მოსული ზედმეტი გადასახადის გამო.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა მარტოხელა ხათუნა მიმინოშვილმა ითხოვა დახმარება სათბობი შეშისა.

შუხუთის სკოლის დირექტორმა კობა ფირცხალაიშვილმა ითხოვა დახმარება სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა გალინა ხუბუნაიშვილმა გამოთქვა გულისტკივილი გაზიფიცირების შეწყვეტის გამო.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ანზორ ორაგველიძემ მოითხოვა წმ. ნინოს ქუჩაზე გზის მოწესრიგება და სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ ქიქოძის ქუჩაზე მოსაწესრიგებელია გზის საფარი და სანიაღვრე არხები.

ადმინისტრაციული შენობის საანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სკამები არ აქვთ.

ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა გოგი გვეიაძემ აღნიშნა, რომ რთულია მოსახლეობასთან შეხვედრა დაწაპირებების არასაკმარისად შესრულების გამო. გაკეთდა ბევრი რამ, მაგრამ იმდენი პრობლემა იყო, რომ არ ჩანს გაკეთებული. ის კმაყოფილია აკაკი იმნაიშვილის მუშაობით და მონდობებით, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადა.

მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა მაჟორიტარ დეპუტატს ყურადღებისა და თანადგომისთვის. დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა თავის მხრივ აღუთქვა მოსახლეობას, რომ დაეხმარება მათ პრობლემების მოგვარებაში, როგორც საკუთარი შესაძლებლობებით, ასევე მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში. ის ასევე დაპირდა მოსახლეობას, რომ სესიაზე უფრო მეტად დააყენებს საკითხებს სოფლის მეურნეობის კუთხით.

საკრებულოს წევრი

5. 

აკაკი იმნაიშვილი.